საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია

# ბრძანება № 6/14

ქ.თბილისი „20" ივნისი 2016 წ

**საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2016 წლის სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ**

„მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიისათვის "ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ" და „მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონებით განსაზღვრული ვალდებულებებისა და სატელეკომუნიკაციო სფეროში სახელმწიფო პოლიტიკით განსაზღვრული ძირითადი მიმართულების ეფექტურად შესრულების მიზნით, დამტკიცდეს დანართად წარმოდგენილი საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2016 წლის სამოქმედო გეგმა:
2. დანართში მითითებულმა პასუხისმგებელმა პირებმა უზრუნველყონ:

   ა) სამუშაოს შესრულებისათვის შესაბამისი სამუშაო ჯგუფების შექმნა;

   ბ) სამუშაოს შესრულება დანართში მითითებული ვადების შესაბამისად;

   გ) შესრულებული სამუშაოს განახლებული სტატუსის კვარტალურად წარმოდგენა;
3. კონტროლი აღნიშნული ბრძანების შესრულებაზე დაევალოს ადმინისტრაციულ დეპარტამენტს (ი. ხარებავა);
4. ბრძანება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე;
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ.თბილისი საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დ.აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ., №6) ერთი თვის ვადაში.

კომისიის თავმჯდომარე [signature] ვახტანგ აბაშიძე

| | განსახორციელებელი სამუშაო | პასუხისმგებელი პირი/ დეპარტამენტი | სტატუსი | ინდიკატორი | სამუშაოს შესრულების ვადა |
|---|---|---|---|---|---|

## 2015 წელს დაწყებული პროექტები

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 1. | „ელექტრონული კომუნიკაციების“ შესახებ საქართველოს კანონისა და სხვა შესაბამისი კანონების ასოცირების შესახებ შეთანხმებით განსაზღვრულ ელექტრონული კომუნიკაციების მარეგულირებელ დირექტივებთან შესაბამისობის ანალიზი და საჭირო ცვლილებების შესახებ დეტალური დასკვნის/აღწერილობის მომზადება. | | | | |
| 1.1 | 2002/20/EC –„ავტორიზაციის შესახებ დირექტივა“ | | *აღნიშნული საკითხი ასევე გათვალისწინებულია EBRD-ისა და TWINNING-ის პროექტებში* | მომზადებული საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტი | 31.12.16. |
| | | ავტორიზაციის საკითხებზე მომუშავე ჯგუფი; ხელმძღვანელი - კომისიის წევრი, გიორგი ფრუიძე | ჯგუფმა შეიმუშავა ელექტრონული კომუნიკაციის საქმიანობის ავტორიზაციის ახალი ფორმა, რომელიც შიდა განხილვის პროცესშია.<br><br>ასევე შესამუშავებელია WiFi ოპერატორებისათვის ოპერირების სტანდარტებთან დაკავშირებით დასაკისრებელი ვალდებულების ასახვის საშუალება.<br><br>ასევე, გამოიკვეთა დამხმარე ტექნოლოგიური დანიშნულებით რადიოსიხშირული სპექტრის გაცემასთან დაკავშირებით არსებული პროცესის გამარტივების საშუალება. აღნიშნულთან დაკავშირებით მიმდინარეობს საერთაშორისო პრაქტიკის შესწავლა. | | |



www.gncc.ge

| | განსახორციელებელი სამუშაო | პასუხისმგებელი პირი/ დეპარტამენტი | სტატუსი | ინდიკატორი | სამუშაოს შესრულების ვადა |
|---|---|---|---|---|---|
| 1.2 | 2002/58/EC – „ელექტრონული კომუნიკაციების სექტორში პერსონალური მონაცემების დამუშავებისა და პირადი ცხოვრების კონფიდენციალურობის დაცვის დირექტივა“ | პირადი ცხოვრების კონფიდენციალურობის საკითხებზე მომუშავე ჯგუფი; ხელმძღვანელი - კომისიის წევრი, გიორგი ფრუიძე | არსებული მომენტისათვის, ჯგუფმა სრულად შეისწავლა დირექტივა და შესაბამისი კანონები (ელ.კომუნიკაციების შესახებ, პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ და მომხმარებელთა უფლებების დაცვის რეგლამენტი), რის საფუძველზეც გამოავლინა ის შეუსაბამობები და ხარვეზები, რომლებიც საჭიროებს დახვეწას. | მომზადებული საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტი | 31.12.16. |
| 1.3 | „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის ასოცირების შესახებ შეთანხმებით განსაზღვრულ 2010/13/EU AVMSD დირექტივასთან შესაბამისობის ანალიზი და საჭირო ცვლილებების შესახებ დეტალური დასკვნის/აღწერილობის მომზადება. | აუდიოვიზუალური მედიის მომსახურებების საკითხებზე მომუშავე ჯგუფი; ხელმძღვანელი - კომისიის წევრი, კახა ბექაური | *აღნიშნული საკითხი ასევე გათვალისწინებულია EBRD-ის პროექტში*<br><br>დადგენილი შეუსაბამობების საფუძველზე მიმდინარეობს მუშაობა შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებების მომზადებაზე. | მომზადებული საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტი | 31.12.16. |
| 2. | ”ავტორიზებული პირების მიერ ხარჯთაღრიცხვისა და დანახარჯების განცალკევებულად განაწილების მეთოდოლოგიური წესების” შესახებ კომისიის დადგენილების პროექტის შემუშავება | სამუშაო ჯგუფი; ხელმძღვანელი - დავით გოგიჩაიშვილი | ***აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით დაქირავებულია საკონსულტაციო კომპანია Ernst & Young***<br><br>საკონსულტაციო კომპანიის მიერ შემუშავებული მეთოდოლოგიური წესები შეთანხმებულია ოპერატორებთან. | ”ავტორიზებული პირების მიერ ხარჯთაღრიცხვისა და დანახარჯების განცალკევებულად განაწილების მეთოდოლოგიური წესების” შესახებ კომისიის დადგენილების შემუშავებული პროექტი | 01.07.16. |
| 5. | „ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში მომსახურების მიწოდებისა და მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ“ მოქმედ რეგლამენტში | რეგლამენტზე მომუშავე ჯგუფი; | | | 31.12.16 |

www.gncc.ge

| | განსახორციელებელი სამუშაო | პასუხისმგებელი პირი/ დეპარტამენტი | სტატუსი | ინდიკატორი | სამუშაოს შესრულების ვადა |
|---|---|---|---|---|---|
| | შესატანი ცვლილებების პროექტის მომზადება | ხელმძღვანელი - კომისიის წევრი, ელისო ასანიძე | | | |
| 6. | Product Placement-ის განთავსების შესახებ სარეკომენდაციო წესების შემუშავება | სამუშაო ჯგუფი; ხელმძღვანელი - კომისიის წევრი, კახა ბექაური | მიმდინარეობს წესების შემუშავება | | 31.12.16 |
| 7. | 2014/53/EU დირექტივაზე დაყრდნობით რადიოდანადგარებისა და სატელეკომუნიკაციო ტერმინალური დანადგარების სერტიფიცირებისა და სამომხმარებლო ბაზარზე დაშვების ტექნიკური რეგლამენტის" მომზადება | რეგლამენტის პროექტის შემუშავების მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფი; ხელმძღვანელი - კომისიის წევრი, მერაბ ქათამაძე | მიმდინარეობს რეგლამენტის პროექტის მომზადება | შემუშავებული რეგლამენტი | 01.07.16. |
| 8. | შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისათვის სატელეკომუნიკაციო მომსახურებაზე ექვივალენტური წვდომისა და შესაბამისი ტერმინალური მოწყობილობებით უზრუნველყოფის კუთხით ევროპულ ბაზარზე არსებული პრაქტიკის შესწავლა და ანგარიშის მომზადება | ირინე ვერძეული | მიმდინარეობს უწყებათაშორისი სამუშაო ჯგუფის სამოქმედო გეგმის შემუშავება. | შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისათვის სატელეკომუნიკაციო მომსახურებაზე ექვივალენტური წვდომისა და შესაბამისი ტერმინალური მოწყობილობებით უზრუნველყოფის კუთხით საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტის მომზადება | 31.12.16 |

www.gncc.ge

| | განსახორციელებელი სამუშაო | პასუხისმგებელი პირი/ დეპარტამენტი | სტატუსი | ინდიკატორი | სამუშაოს შესრულების ვადა |
|---|---|---|---|---|---|

## 2016 წელს განსახორციელებელი საქმიანობა

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | „ელექტრონული კომუნიკაციების“ შესახებ საქართველოს კანონისა და სხვა შესაბამისი კანონების ასოცირების შესახებ შეთანხმებით განსაზღვრულ ელექტრონული კომუნიკაციების მარეგულირებელ დირექტივებთან შესაბამისობის ანალიზი და საჭირო ცვლილებების შესახებ დეტალური დასკვნის/აღწერილობის მომზადება. | | | | |
| 1.1 | 2002/21/EC – „ჩარჩო დირექტივა“ | სამუშაო ჯგუფი; ხელმძღვანელი - კომისიის წევრი, ელისო ასანიძე | აღნიშნული საკითხი გათვალისწინებულია EBRD-ისა და TWINNING-ის პროექტებში | შეუსაბამებობების შესახებ მომზადებული ანგარიში | 31.12.16 |
| 1.2 | 2002/19/EC–„დაშვებისა და ურთიერთჩართვის დირექტივა“ | სამუშაო ჯგუფი; ხელმძღვანელი - კომისიის წევრი, ელისო ასანიძე | აღნიშნული საკითხი გათვალისწინებულია EBRD-ის პროექტში | კანონმდებლობებს შორის არსებული შეუსაბამებობების შესახებ მომზადებული ანგარიში | 31.12.16 |
| 2. | მობილური/უსადენო სისტემებისათვის განკუთვნილი (800/900/1800/2100 მჰც დიაპაზონებში) ხელმისაწვდომი რადიოსიხშირული რესურსის აუქციონის წესით გაცემა, რომლის ფარგლებშიც გათვალისწინებული იქნება მობილურ/უსადენო ბაზარზე კონკურენციის ხელშეწყობისა და სერვის-დეფიციტური ტერიტორიების ფართოზოლოვანი ქსელებით დაფარვის საკითხი | ირინე ვერძეული | მობილური/უსადენო სისტემებისათვის განკუთვნილი (800/900/1800/2100 მჰც დიაპაზონებში) ხელმისაწვდომი რადიოსიხშირული რესურსის აუქციონის წესის პროექტი გამოქვეყნებულია | გაცემული რადიოსიხშირული რესურსი | 01.06.16. |
| 3. | "ბაზრის შესაბამისი სეგმენტების განსაზღვრისა და კონკურენტუნარიანობის ანალიზის მეთოდოლოგიური წესების" შესახებ კომისიის დადგენილების პროქტის მომზადება | დავით გოგიჩაიშვილი | | მომზადებული დადგენილების პროექტი | 31.12.16 |
| 4. | დაშვებისა და ურთიერთჩართვის პირობების (მათ შორის მომავალი თაობის (NGA) პასიურ და აქტიურ ქსელურ საშუალებებთან ალტერნატიული | მარიამ სულაბერიძე | აღნიშნული საკითხი დაემატა EBRD-ის პროექტს | მომზადებული დადგენილების პროექტი | 31.12.16 |

www.gncc.ge

| | განსახორციელებელი სამუშაო | პასუხისმგებელი პირი/ დეპარტამენტი | სტატუსი | ინდიკატორი | სამუშაოს შესრულების ვადა |
|---|---|---|---|---|---|
| | ოპერატორების დაშვების პირობების) მარეგულირებელი ერთიანი წესების შესახებ კომისიის დადგენილების პროექტის შემუშავება; | | | | |
| 5. | .ge ქვეყანასთან ასოცირებული ზედა დონის დომენისა (ccTLD) და ეროვნული ზედა დონის დომენის (IDN ccTLD) მართვისა და ადმინისტრირების რეგულირების მიზნით საკონსულტაციო დოკუმენტისა და საკანონმდებლო ცვლილებების შემუშავება | მზია გოგილაშვილი | საკონსულტაციო დოკუმენტის პროექტი მომზადებულია და საბოლოო სახით ჩამოყალიბდება 01.06.16-მდე | შემუშავებული საკანონმდებლო ცვლილებები | 31.12.16 |
| 6. | სატელეკომუნიკაციო და სატელეკომუნიკაციო მიზნებისათვის გამოყენებად ინფრასტრუქტურასთან დაკავშირებული მარეგულირებელი ღონისძიებების შემუშავება, შესაბამის სამთავრობო უწყებებთან და დაინტერესებულ პირებთან ერთად გამოვლენილი პრობლემების გადაწყვეტის პროექტის მოზადება/შეთანხმება. | მარიამ სულაბერიძე | აღნიშნული საკითხი გათვალისწინებულია EBRD-ის პროექტში | მომზადებული გადაწყვეტილების პროექტი | 31.12.16 |
| 7. | ციფრულ მიწისზედა სატელევიზიო ქსელებში მაუწყებლების დაშვების მარეგულირებელი წესების შესახებ კომისიის დადგენილების პროქტის მომზადება. | გიორგი კვერენჩხილაძე | | შემუშავებული დაშვების მარეგულირებელი წესები | 01.07.16 |
| 8. | რადიოსიხშირული დიაპაზონების ჰარმონიზაციასთან დაკავშირებით ევროკავშირის (ასევე CEPT-სა და ITU-ს) ფარგლებში გადადგმული/დაგეგმილი ნაბიჯებისა და შესაბამისი რადიოსიხშირული დიაპაზონების განაწილების კუთხით შეცვლილი მიდგომის საქართველოში დანერგვის მიზანშეწონილობის შესახებ საკონსულტაციო დოკუმენტის მომზადება. | სერგო შავგულიძე | | მომზადებული საკონსულტაციო დოკუმენტი | 01.07.16 |
| 9. | რადიოსიხშირული რესურსით სარგებლობის საწყისი საფასურის (მათ შორის რადიოსარელეო კავშირისათვის განკუთვნილი სიხშირეების საფასურის) დაანგარიშების ახალი მეთოდოლოგიისა და შესაბამისი ფორმულის, ისევე როგორც ლიცენზიების ვადის გაგრძელების საფასურის გაანგარიშების მეთოდოლოგიის შემუშავება. | რატი სხირტლაძე | | რადიოსიხშირული რესურსით სარგებლობის საწყისი საფასურის გაანგარიშების მოდელი | 01.07.16 |
| 10. | რადიოსიხშირული სპექტრის განაწილების ეროვნული | სერგო | | განახლებული | 01.07.16 |

www.gncc.g

| | განსახორციელებელი სამუშაო | პასუხისმგებელი პირი/ დეპარტამენტი | სტატუსი | ინდიკატორი | სამუშაოს შესრულების ვადა |
|---|---|---|---|---|---|
| | გეგმის ახალი ფორმის შემუშავება. | შავგულიძე | | ეროვნული გეგმა | |
| 11. | საქართველოში IXP-ის ფორმირების მიზანშეწონილობის კვლევა; IXP-ის ფორმირებასა და ფუნქციონირებაში სახელმწიფოს როლის განსაზღვრა | რატი სხირტლაძე | | საქართველოში IXP-ის ფორმირების მიზანშეწონილობისა და ამ პროცესში სახელმწიფოს როლის შესახებ წარმოდგენილი დასკვნა | 01.07.16. |
| 12. | სატელეკომუნიკაციო ფიზიკური ინფრასტრუქტურისა და ქსელების ამსახველი ციფრული რუქის სრულყოფა | ალექსანდრე ღლონტი | | ციფრული რუქის სრულყოფა | 31.12.16 |
| 13. | ბაზრის მონაწილეებისა და შესაბამისი სამთავრობო უწყებების წარმომადგენლებისაგან დაკომპლექტებული სამუშაო ჯგუფის შექმნა და ევროპის პრაქტიკაზე დაყრდნობით არასრულწლოვანთათვის უსაფრთხო „online“ გარემოს შექმნის მიზნით ქცევის კოდექსისა და თვითრეგულირების მექანიზმების შემუშავება. | თამთა ტეფნაძე | | შემუშავებული ქცევის კოდექსი და თვითრეგულირების მექანიზმები | 31.12.16 |
| 14. | ევროპის პრაქტიკაზე დაყრდნობით ინტერნეტის ფარგლებში საავტორო და მომიჯნავე უფლებების დაცვის (მონიტორინგისა და აღსრულების) საკითხებზე სარეკომენდაციო ხასიათის დოკუმენტის შემუშავება და შემდგომი განხილვისათვის მთავრობასა და ბაზრის მონაწილეებისათვის წარდგენა | ივანე მახარაძე | | ინტერნეტის ფარგლებში საავტორო და მომიჯნავე უფლებების დაცვის საკითხებზე მომზადებული დოკუმენტი | პროექტი შესაძლოა გადავიდეს 2017 წელს |
| 15. | აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებსა და აღმოსავლეთ პარტნიორობისა და ევროკავშირის ქვეყნებს შორის საერთაშორისო როუმინგის ერთიანი სივრცის შექმნისათვის მოსამზადებელი სამუშაოების განხორციელება | ირინე ვერმული | | ქვეყნებს შორის გაფორმებული შეთანხმებები | პროექტი შესაძლოა გადავიდეს 2017 წელს |
| 16. | ინტერნეტ ხარისხის მონიტორინგის უზრუნველსაყოფად პროექტის დაგეგმვა | ირინე ვერმული | | მობილური და ფიქსირებული ინტერნეტის ხარისხის მონიტორინგის მეთოდოლოგიის შერჩევა | პროექტი გადავა 2017 წელს |

www.gncc.g